

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №25
2022 წლის 28 სექტემბერი

ქ. სიღნაღი

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდების და ჯილდოს მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.დ“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

1. სიღნაღის მუნიციპალიტეტში შემოღებულ იქნეს სიღნაღის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქისა და სიღნაღის საპატიო მეციხოვნის წოდებები.
2. დამტკიცდეს „სიღნაღის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდების და ჯილდოს მინიჭების წესი“ დანართის მიხედვით.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 იანვრის დადგენილება №1 - ვებგვერდი, 30.01.2023 წ.

მუხლი 1¹

ძალადაკარგულად გამოცხადდეს სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 სექტემბრის N22 დადგენილება „სიღნაღის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ (www.matsne.gov.ge 05.10.2015წ. 010250050.35.168.016165).

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 იანვრის დადგენილება №1 - ვებგვერდი, 30.01.2023 წ.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

დავით ჯანიკაშვილი

დანართი

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 იანვრის დადგენილება №1 - ვებგვერდი, 30.01.2023 წ.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდების და ჯილდოს მინიჭების წესი

მუხლი 1.

1. ეს წესი განსაზღვრავს სიღნაღის მუნიციპალიტეტში საპატიო წოდებების და ჯილდოს მინიჭების სამართლებრივ საფუძვლებს და პროცედურული საკითხების განხილვის წესს.

2. სიღნაღის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის, სიღნაღის საპატიო მეციხოვნის და ჯილდოს მინიჭება ხორციელდება საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და ამ წესის შესაბამისად.

მუხლი 2.

1. სიღნაღის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის, სიღნაღის საპატიო მეციხოვნის წოდებას და ჯილდოს ანიჭებს სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერი.



2. სიღნაღის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის, სიღნაღის საპატიო მეციხოვნის წოდება და ჯილდო შეიძლება მიენიჭოს საქართველოს, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქესა და განსაკუთრებულ შემთხვევებში მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელსაც თავისი საზოგადოებრივი, პროფესიული, სამეცნიერო ან/და სხვა საქმიანობით (მოღვაწეობით) აქვს:

ა) განსაკუთრებული დამსახურება საქართველოსა და სიღნაღის მუნიციპალიტეტის წინაშე;

ბ) მნიშვნელოვანი წვლილი შეტანილი სიღნაღის მუნიციპალიტეტის ან/და საქართველოს განვითარების საქმეში;

გ) მნიშვნელოვანი წვლილი შეტანილი სიღნაღის მუნიციპალიტეტთან მეგობრული კავშირების განმტკიცებაში;

დ) მნიშვნელოვანი წვლილი შეტანილი სიღნაღის მუნიციპალიტეტის ან/და საქართველოს პოპულარიზაციის საქმეში.

მუხლი 3.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის, სიღნაღის საპატიო მეციხოვნის წოდების და ჯილდოს მინიჭების თაობაზე მოტივირებული შუამდგომლობის აღძვრის უფლება აქვს:

ა) მუნიციპალიტეტის მერს;

ბ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს სიითი შემადგენლობის 1/3-ს;

გ) საკრებულოს თავმჯდომარეს;

დ) სახელმწიფო, საზოგადოებრივ, პროფესიულ, შემოქმედებით კავშირებსა და ორგანიზაციებს;

ე) მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფს, რომლებიც წარმოადგენენ სიღნაღის მუნიციპალიტეტის ამომრჩეველთა არანაკლებ 1%-ის ხელმოწერას.

მუხლი 4.

1. სიღნაღის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის, სიღნაღის საპატიო მეციხოვნის წოდების და ჯილდოს კანდიდატურის წარდგენა ხორციელდება წერილობითი ფორმით, რასაც თან უნდა ერთოდეს:

ა) „საპატიო წოდების“ და ჯილდოს მისანიჭებლად კანდიდატურის წარმდგენი უფლებამოსილი ორგანიზაციის ან პირების რეკომენდაცია წარდგენილი კანდიდატის ღვაწლის და დამსახურების აღნიშვნით;

ბ) ბიოგრაფიული მონაცემები;

გ) კანდიდატის ღირსების ღვაწლისა და დამსახურების ამსახველი მასალები.

2. კომისიის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს წერილობითი თანხმობა.

მუხლი 5.



1. ამ წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტები წარედგინება სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიას.

2. წარდგენილი კანდიდატის შესახებ ცნობების შეჯერებას და განხილვას აწარმოებს სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი საპატიო წოდების და ჯილდოს მინიჭების სპეციალური კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან მერიის და საკრებულოს წარმომადგენლები. კომისიის გადაწყვეტილება საპატიო წოდების მინიჭების თაობაზე ფიქსირდება კომისიის სხდომის ოქმში, რომლის საფუძველზეც სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერი საპატიო წოდების და ჯილდოს მინიჭების თაობაზე გამოსცემს ბრძანებას.

მუხლი 6.

1. პირს შეიძლება ჩამოერთვას სიღნაღის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის, სიღნაღის საპატიო მეციხოვნის წოდება და ჯილდო იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ ჩადენილი იქნა:

ა) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული განზრახი დანაშაული;

ბ) საქართველოს სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული ქმედება.

2. სიღნაღის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის, სიღნაღის საპატიო მეციხოვნის წოდებისა და ჯილდოს ჩამორთმევის უფლება აქვს სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერს შესაბამისი კომისიის დასკვნის საფუძველზე.

მუხლი 7.

1. სიღნაღის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის, სიღნაღის საპატიო მეციხოვნის ან/და ჯილდოს მინიჭების დამადასტურებელი მოწმობისა და ატრიბუტიკის დამზადებას უზრუნველყოფს სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერია.

2. სიღნაღის საპატიო მოქალაქის, სიღნაღის საპატიო მეციხოვნის ან/და ჯილდოს მინიჭების შემთხვევაში, დაფინანსება მოხდება სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის „საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ღონისძიებების“ მუხლიდან (0503).

